

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი № 22

„21“ ნოემბერი 2023 წ.

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
თენგიზი მთვარელიშვილი;

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი;

თავმჯდომარის მოადგილეები: ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დალუნდარიძე;

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თინათინ ხანჯალიაშვილი;

სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხაჭაპურიძე;

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის

და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი;

ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე დავით ლაღანიძე;

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ბაადურ რევაზიშვილი;

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზურაბ სახიაშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული სამსახურის უფროსი ანა ფეიქრიშვილი;

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის და სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი

2. საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში განხორციელებული ცვლილების შესახებ.

მომხს. ა.შათირიშვილი

მოისმინეს:1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის და სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი

მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ პროექტებზე განმარტებები გააკეთა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თ.ხანჯალიაშვილმა, მან აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხები, „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ჩემი თელავი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ - საკითხთან დაკავშირებით, კომისიის სხდომაზე გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება და გაირკვა, რომ საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტაცია საჭიროებს სისრულეში მოყვანას.

ა(ა)იპ „ჩემი თელავი“-ს ინიციატივა მისასალმებელია და კომისია საკითხს საკრებულოს სხდომაზე გატანას მხარს დაუჭერს ზემოაღნიშნული საკითხის სრულყოფილად წარმოდგენის შემდგომ, ამ ეტაპზე კი მისი მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანა არ არის მიზანშეწონილი.

მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული სამსახურის უფროსმა ა.ფეიქრიშვილმა საკრებულოს მორიგ სხდომის დღის წესრიგის პროექტში შესატანად წარმოადგინა შემდეგი საკითხები:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N20 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
5. „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ვადის გაგრძელების თაობაზე.

საკრებულოს აპარატის უფროსმა ტ.გალახვარიძემ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“.

გადაწყვეტეს: 1. 2023 წლის 30 ნოემბერს, 15.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მომხს.ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
15.00სთ-დან - 15.10სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს.ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
15.10სთ-დან - 15.20სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების შესახებ;

მომხს.ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
15.20სთ-დან - 15.30სთ-მდე

4. ლევან გალუსტიანის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე 200 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს.ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
15.30სთ-დან - 15.40სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ა. ფეიქრიშვილი
15.40სთ-დან - 15.45სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N20 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
15.45სთ-დან - 15.50სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
15.50სთ-დან - 15.55სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
15.55სთ-დან - 16.00სთ-მდე

9. „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს.ნ.ვაყელიშვილი
16.00სთ-დან - 16.05სთ-მდე

10.თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ვადის გაგრძელების თაობაზე.

მომხს.ნ.ვაყელიშვილი
16.05სთ-დან - 16.10სთ-მდე

11.თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს.ტ.გალახვარიძე
16.10სთ-დან - 16.15სთ-მდე

მოისმინეს:2. საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში განხორციელებული ცვლილების შესახებ.

მომხს. ა.შათირიშვილი

ა.შათირიშვილმა საკრებულოს ბიუროს წარუდგინა ინფორმაცია საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში განხორციელებული ცვლილების შესახებ (ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს მიმართვის საფუძველზე), კომისიის შემადგენლობიდან გავიდნენ ა.მახარიაშვილი და ნ.ბახსოლიანი, კომისიაში გაწევრიანდა მ. მაისურაძე.

გადაწყვიტეს: საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში განხორციელებული ცვლილება მიღებულ იქნას ცნობად. (საკრებულოს კომისიების შემადგენლობები თან ერთვის).

საკრებულოს თავმჯდომარე



თენგიზი მთვარელიშვილი